# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო
# განკარგულება N 152

## 2022 წლის 12 აგვისტო

## ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კოოპერატივ ,,რკ ნიქოზისთვის'' (ს/ნ 417880984) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 15 ივნისს განცხადებით მომართა კოოპერატივმა ,,რკ ნიქოზმა'' და მოითხოვა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.41.01.062 (ს/კ 66.41.01.000.062) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 18 ივლისის N 310-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.41.01.000.062 დაზუსტებული ფართობით - 1.00 კვ.მ (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ნიქოზი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 100.00 (ასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს, მიწის ნაკვეთის რაიმე მიზნით გამოყენება არ აქვს დაგეგმილი, ხოლო მისი იჯარის ფორმით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.41.01.000.062, 1,00 კვ.მ. ფართობის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ,,რკ ნიქოზისთვის'' გადაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე

მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.41.01.000.062 ფართობით 1,00 კვ.მ. (მდებარე სოფელ ზემო ნიქოზში) გადასცეს კოოპერატივს ,,რკ ნიქოზს'' (ს/ნ 417880984) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, რათა კოოპერატივს მიეცეს ჭაბურღილის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც დღემდე გამოუყენებელია.

2.საწყისი საპრივატიზებო ფასი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ს/კ 66.41.01.062 (ს/კ 66.41.01.000.062) ფართობით 1,00 კვ.მ. განისაზღვროს 100.00 (ასი) ლარით.

3.იჯარის ხელშეკრულებით გადასაცემი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.41.01.000.062 მიწის ნაკვეთის იჯარის ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 120 (ას ოცი) ლარით.

4.ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 3 (სამი) წლის ვადით.

5.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებდიან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება, რაც 2 კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს.

6.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**